

# სვრავებელი გზაჯვარედინი თუ საფრთხის წყარო? ევროკავშირის ჩართულობის შესაძლებლობები შავი ზღვის რეგიონში

ლორ დელკუჩი



# პოლიტიკის დოკუმენტი

## გამოცემა #38 | ნოემბერი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ასევე, GIP არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კვლევითი ორგანიზაციების ქსელის წევრი, რომელიც ევროკომისიის მხარდაჭერით 2020 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.

*წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია კონხად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისთან თანამშრომლობით. მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წახმოდგენს მხოლოდ ავტორის პასუხისმგებლობას და აჩავითაჩ შემთხვევაში ახ უნდა იქნას იმგვარად გაგებური, რომ ასახავს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის და ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის შეხედულებებს.*

## დოკუმენტის ციტირების წესი:

**ღოხ დედუჩი** „სტრატეგიული გზავნილები თუ საფხთხის წყაჩო? ევროკავშირის ჩახურდობის შესაძლებლობები შავი ზღვის რეგიონში“, პოლიტიკის დოკუმენტი ნომ. 38, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი 2023.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2022

საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

ტელ: +995 599 99 02 12

ელ. ფოსტა: info@gip.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

www.gip.ge

## სტრატეგიული გზაჯვარედინი თუ საფრთხის წყარო?

### ევროკავშირის ჩართულობის შესაძლებლობები შავი ზღვის რეგიონში



#### ავტორი: დოქ დელკუჩი

დოქტორი ლორ დელკური ახალი სორბონის უნივერსიტეტის (University Sorbonne Nouvelle) (პარიზი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროკავშირის კვლევების ასოცირებული პროფესორია. ის კითხულობს ლექციებს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების, „ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა“ და ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობების შესახებ პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში (Sciences-Po Paris), სტრასბურგის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში (Sciences-Po Strasbourg), ასევე, საფრანგეთის და ევროპის სხვა ინსტიტუტებში. მისი კვლევითი ინტერესის საგანს წარმოადგენს ევროკავშირის ნორმებისა და პოლიტიკის გავრცელება და მათი მიმდებლობა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში, ასევე, რეგიონული უსაფრთხოების საკითხები ევრაზიაში. ამ თემებზე ის ხელმძღვანელობდა რამდენიმე კვლევით პროექტს, რომლებიც ევროკავშირის და საფრანგეთის მიერ იყო დაფინანსებული; ის ასევე იყო ევროპარლამენტის, ევროკომისიის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო/თავდაცვის სამინისტროს კონსულტანტი. ამჟამად პროფ. დელკური ხელმძღვანელობს საფრანგეთისა და ავსტრიის ერთობლივ პროექტს (ANR-FWF), რომელიც ეხება ევროკავშირის სამეზობლოში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## სარჩევი

მოკლე შინაარსი	3
შესავალი	4
არასაკმარისი და დაგვიანებული? ევროკავშირის და უსაფრთხოების გამონწვევები შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამდე	5
რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ: შავი ზღვის ფართო რეგიონი, დაძაბულობის კერა ევროკავშირისთვის	9
უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომის შესაძლო გავლენა შავი ზღვის რეგიონზე	9
„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების დესტაბილიზაცია	10
რეგიონული კონფლიქტების განახლება და გამწვავება	11
საფრთხე კომუნიკაციებისა და ენერგორესურსებით მომარაგებისთვის	12
<b>დასკვნები და რეკომენდაციები</b>	<b>13</b>
რეკომენდაციები ევროკავშირის მიმართ	14
რეკომენდაციები უმაღლესი წარმომადგენლისა და წევრი სახელმწიფოების მიმართ	14
რეკომენდაციები ევროკომისიის/ ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის (EEAS) მიმართ	15
ბიბლიოგრაფია	16



## მოკლე შინაარსი

შავი ზღვის რეგიონი ევროკავშირისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონია, რადგან ის ევროპას კავკასიასთან, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებს და, შესაბამისად, ერთ-ერთ საკვანძო გეოპოლიტიკურ, სავაჭრო და ენერგოტრანზიტულ გზაჯვარედინს წარმოადგენს. თუმცა, ევროკავშირმა ჯერჯერობით ვერ მოახერხა შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესაბამისი ეფექტიანი პოლიტიკის წარმოება. ამის მიზეზებად შეიძლება შიდა და გარე ფაქტორები განვიხილოთ, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, საუბარია ერთი მხრივ, ევროკავშირის მხრიდან რეგიონთან მიმართებით სტრატეგიული ხედვისა და პოლიტიკური ვალდებულების არარსებობაზე და, მეორე მხრივ, შავი ზღვის რეგიონში ვითარების მწვავე გაუარესებაზე, უპირველესად, რუსეთის აგრესიული ქმედებების გამო. ასეთ არასტაბილურ, მილიტარიზებულ და სახიფათო გარემოში ევროკავშირის სამოქმედო სივრცე საკმაოდ შეზღუდული ჩანს. ეს შეზღუდვა, ერთი მხრივ, ევროკავშირის ლიმიტირებულ თავდაცვით შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონის მიმართ ევროკავშირის პოლიტიკით არის გამოწვეული, რომელიც დიდი ხანია, სხვადასხვა ინიციატივის სახით ფრაგმენტირებულად არის წარმოდგენილი და ერთიან ყოვლისმომცველ სტრატეგიას საჭიროებს. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომი საფრთხეს უქმნის ევროპულ უსაფრთხოებას და რუსეთის ქმედებები დესტაბილიზაციას იწვევს მთელ რეგიონში, არსებობს სივრცე, რომ ევროკავშირი, სხვა აქტორებთან ერთად, აქტიურად ჩაერთოს შავი ზღვის რეგიონში და რეგიონის სტაბილიზებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს. ამ ყველაფრის განხორციელება კი განახლებული სტრატეგიული ხედვის ფარგლებში, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური ინსტრუმენტებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობების გამოყენების გზით არის შესაძლებელი.

**საკვანძო სიგყვები: ევროკავშირი, შავი ზღვის რეგიონი, უსაფრთხოება, კონფლიქტები, რუსეთი, უკრაინა.**

## შესავალი

ბოლოდროინდელმა კონფლიქტებმა, როგორცაა 44-დღიანი ომი მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, თუ რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, კიდევ უფრო გამოკვეთა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ევროკავშირისთვის, რადგან ის ევროპას კავკასიასთან, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთთან აკავშირებს და, შესაბამისად, ერთ-ერთ საკვანძო გეოპოლიტიკურ, სავაჭრო და ენერგეტიკულ გზაჯვარედინს წარმოადგენს. შავი ზღვის რეგიონის აქტუალობა მხოლოდ 2000-იანი წლების დასაწყისიდან გაიზარდა, როდესაც ევროკავშირმა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ განხორციელება დაიწყო, რომელიც შავი ზღვისპირა ქვეყნებზე, მათ შორის უკრაინასა და საქართველოზე იყო ორიენტირებული. რეგიონის აქტუალობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საზღვრები, ბულგარეთისა და რუმინეთის წევრებად მიღების შემდეგ, შავ ზღვამდე გაფართოვდა.

თუმცა, შავი ზღვის დამაკავშირებელი პოტენციალი ჯერ სრულად რეალიზებული არ არის. რეგიონი, ისტორიული, გეოპოლიტიკური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გამო, დიდი ხანია, დანაწევრებულია. 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, შავი ზღვის რეგიონი ხანგრძლივ კონფლიქტებშია გახვეული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2000-იანი წლებიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც ევროკავშირი შავ ზღვას მიუახლოვდა, ეს რეგიონი უსაფრთხოების მზარდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა რუსეთსა და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებს შორის სულ უფრო ღია დაპირისპირების კონტექსტში. მაშინ, როდესაც ზოგიერთი გადაუჭრელი კონფლიქტი თითქოს მიწყნარდა, კვლავ იფეთქა ახალმა საომარმა მოქმედებებმა. რუსეთის სრულმასშტაბიანი აგრესია უკრაინის წინააღმდეგ და მისი დაძაბული ურთიერთობები NATO-სთან, ევროპასთან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოსთან, ასევე, ომი სომხეთსა და აზერბაიჯან-თურქეთს შორის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც ევროკავშირზე, ასევე, შავი ზღვის ფართო რეგიონზე სავაჭრო, ენერგორესურსების და საკომუნიკაციო მარშრუტების თვალსაზრისით.

ამ მზარდად არასტაბილურ, მილიტარიზებულ და სახიფათო გარემოში, ევროკავშირი ძალიან შებოჭილი ჩანს. ეს აიხსნება არა მხოლოდ იმით, რომ მას შეზღუდული თავდაცვითი შესაძლებლობები აქვს, არამედ იმითაც, რომ მისი პოლიტიკა რეგიონში, დიდი ხანია, სხვადასხვა ინიციატივის სახით არის ფრაგმენტირებული და მას ამ ეტაპზე რეგიონის მიმართ მყარი, ყოვლისმომცველი სტრატეგიული ხედვა არ გააჩნია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში წარმოებული ომი საფრთხეს უქმნის ევროპულ უსაფრთხოებას და რუსეთის ქმედებები მთელი რეგიონის დესტაბილიზაციას იწვევს, არსებობს სივრცე, რომ ევროკავშირი, სხვა აქტორებთან ერთად, აქტიურად ჩაერთოს შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონის სტაბილიზაციაში განახლებული სტრატეგიული ხედვის ფარგლებში, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური ინსტრუმენტებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობების გამოყენების გზით.

## **არასაკმარისი და დაგვიანებული? ევროკავშირის უსაფრთხოების გამონვევები შავი ზღვის რეგიონში რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამდე**

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის ფართო რეგიონის უსაფრთხოება, ევროკავშირისთვის დიდი ხანია, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ეს რეგიონი 2000-იანი წლების დასაწყისამდე ევროკავშირის რადარს მიღმა რჩებოდა. თუმცა მოგვიანებით, მისი აღმოსავლეთით გაფართოების კონტექსტში, ევროკავშირი უფრო აქტიურად ჩაერთო შავი ზღვის რეგიონში, ჯერ ორმხრივი პოლიტიკის შემუშავებით შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის და შემდეგ, ახალი რეგიონული ინიციატივით, რომელიც ინკლუზიურ მიდგომას ემყარებოდა და „შავი ზღვის სინერჯის“ სახელითაა ცნობილი. თუმცა, ევროკავშირის ახლადწამოწყებული ჩართულობა უსაფრთხოების მზარდი გამონვევების წინაშე აღმოჩნდა, რადგან რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა იმ შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებსაც მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდათ ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან, ევროკავშირის კომპლექსურ მიდგომას სერიოზული დარტყმა მიაყენა.

1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის დაშლამ და, შედეგად, ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების წარმოქმნამ, თითქოს, თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები გააჩინა შავი ზღვის რეგიონში, რომელიც მანამდე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების ზონას წარმოადგენდა (Aydin 2004, 6). თუმცა სსრკ-ის დაშლამ როგორც ახალი კონფლიქტების წარმოშობას, ასევე მივიწყებული რეგიონალური კონფლიქტების გაღვივებას შეუწყო ხელი. იმ კონფლიქტებმა, რომლებმაც 1990-იანი წლების დასაწყისში იფეთქა, დაარღვია რეგიონალური სტაბილურობა, გააუარესა შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის ურთიერთობები და მუდმივი დაძაბულობის რეჟიმი შექმნა. შედეგად, ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარება დაურეგულირებელი რჩება (მაგალითად, დნესტრისპირეთი-მოლდოვაში, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი-საქართველოში და მთიანი ყარაბაღი-სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის). შექმნილმა გარემოებებმა, უსაფრთხოების სხვა რისკებთან ერთად, ასევე წარმოაჩინა შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა ევროკავშირისთვის, რომელიც იმ დროს ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში გაფართოების პროცესით იყო დაკავებული. თუმცა, ეს რეგიონი, კონკრეტული სპეციფიკური რეგიონული ინსტრუმენტის არარსებობის გამო, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაში მაინც უკანა პლანზე რჩებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ 1990-იანი წლების ბოლოს ევროკავშირი ფოკუსირებული იყო გაფართოების შედეგებზე მისი უშუალო მეზობლების, კერძოდ, რუსეთისა და უკრაინისთვის, რომელთათვისაც 1999 წელს საერთო სტრატეგია, საგარეო და უსაფრთხოების საერთო პოლიტიკის ახალი ინსტრუმენტი, შემუშავდა.

მომდევნო ათწლეულში, ადგილობრივი და რეგიონული დინამიკა სულ უფრო მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რადგან ხანგრძლივი კონფლიქტები აძლიერებდა რუსეთსა და ევროატლანტიკურ ორგანიზაციებს შორის უთანხმოებას როგორც შავი ზღვის რეგიონში, ასევე, გლობალურ დონეზე (Melvin 2018, 13). გაფართოების მე-5 და, განსაკუთრებით, მე-6 რაუნდმა ევროკავშირი კიდევ უფრო დაუახლოვა შავ ზღვას, რამაც რეგიონის ქვეყნებთან მომავალი ურთიერთობების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

ამ ცვალებად კონტექსტში, ევროკავშირმა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ინიციატივა წამოიწყო, რომელიც მის ახალ მეზობლებთან, მათ შორის, შავი ზღვის ფართო რეგიონის 5 ქვეყანასთან (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა), ურთიერთობების გაღრმავებას ისახავდა მიზნად. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო იმ თავშეკავებულ პოლიტიკასთან შედარებით, რომელსაც ევროკავშირი 1990-იანი წლებში ატარებდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2000-იანი წლების შუა პერიოდში, ევროკავშირის პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში რამდენიმე ცალკეული ორმხრივი პოლიტიკური ინიციატივის სახით იყო დანაწევრებული, რომელთა შორის იყო „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“, სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთის ფედერაციასთან და ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების მოსამზადებელი პროცესი. ამის შედეგი იყო ის, რომ ევროკავშირის რეგიონის შესახებ „ნაწილობრივი წარმოდგენა“ ჰქონდა და „პოლისტური მიდგომა“ აკლდა (Tassinari 2006, 2).

ბულგარეთის და რუმინეთის ევროკავშირში გაწევრებამ გაერთიანების ყურადღება კიდევ უფრო მეტად მიმართა შავი ზღვის აუზისკენ, რომლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები სულ უფრო მზარდ შეშფოთებას იწვევდა. ეს უკანასკნელი ასევე დაემთხვა ევროკომისიის მიერ „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ საქმიანობის ნელთბილ შეფასებას, განსაკუთრებით კონფლიქტების მოგვარების სფეროში, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი იყო შავი ზღვის რეგიონის კონტექსტში. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ ჩაითვალა რეგიონული თანამშრომლობის მიმართულების დამატება იმ ორმხრივი განზომილებისთვის, რომელიც მანამდე „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ფარგლებში სჭარბობდა. იმ გამოწვევათა უმეტესობა, რომლებსაც ევროკავშირი ამ რეგიონში აწყდებოდა, მართლაც ტრანსნაციონალური ხასიათისა იყო (მაგალითად, ტრეფიკინგი, ორგანიზებული დანაშაული, გარემოს დაბინძურება). ამრიგად, 2007 წლის აპრილში ევროკომისიამ პირველი ინიციატივა წამოაყენა, რომელიც კონკრეტულად შავი ზღვის რეგიონზე იყო ფოკუსირებული. შემუშავდა „შავი ზღვის სინერჯია“, როგორც რეგიონში ევროკავშირის ინიციატივების დამატებითი მოქნილი სტრუქტურა, რომლის მიზანიც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან და ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება იყო (European Commission 2007).

თუმცა, შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირის ჩართულობა გამოწვევის სახით წააწყდა მზარდ დაძაბულობას რუსეთთან. ამის მიზეზი ის იყო, რომ ევროატლანტიკურმა ინტეგრაციამ, რომლისკენაც ზოგიერთი ზღვისპირა პოსტსაბჭოთა ქვეყანა (საქართველო და უკრაინა) 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან მიისწრაფოდა, რუსეთი საკმაოდ შეაშფოთა, რამდენადაც ის ამ უკანასკნელს მისი გავლენის სფეროში დასავლური ინსტიტუტების (უმთავრესად, NATO-ს) შეჭრად განიხილავდა (Kuimova and Weseman 2018, 2). რუსეთის შემდგომმა ნაბიჯებმა, კერძოდ სამხედრო ინტერვენციებმა იმ ორი ზღვისპირა ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიებზე, რომლებიც NATO-სთან დაახლოებას ცდილობდნენ, და შავი ზღვის ირგვლივ სამხედრო წარმომადგენლობის გაძლიერებამ, აშკარად გაუსვა ხაზი შავი ზღვის ცენტრალურ მნიშვნელობას რუსეთის უსაფრთხოებისთვის.



მას შემდეგ, რაც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისთვის მიცემული პირობა, რომ მომავალში ისინი NATO-ს წევრები გახდებოდნენ, რუსეთმა თავისი ინტერესებისთვის საფრთხედ აღიქვა, მან დაიწყო პოსტსაბჭოთა ეპოქაში პირველი ომი დამოუკიდებელი ქვეყნის, საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებამ და სამხედრო ძალის შემდგომმა კონცენტრაციამ შავი ზღვის ფართო რეგიონი კიდევ უფრო დაანაწევრა. 2008-2010 წლებში, რუსეთმა გააძლიერა თავისი სამხედრო წარმომადგენლობა საქართველოს ორ სეპარატისტულ რეგიონში (აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობებთან ხელშეკრულებების გაფორმების გზით) და ასევე, სომხეთსა (ხელშეკრულებით, რომლითაც 2010 წელს გიუმრიში განთავსებულ რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზას იჭარის ვადა გაუხანგრძლივდა) და უკრაინაში (2010 წლის ხელშეკრულებით, რომლითაც ყირიმში განთავსებულ რუსეთის შავი ზღვის ფლოტს იჭარის ვადა 2042 წლამდე გაუხანგრძლივდა). 2008 წლის აგვისტოს ომმა რეგიონული თანამშრომლობაც შეაჩერა. მან კიდევ უფრო დაასუსტა არსებული რეგიონული ორგანიზაციები, როგორც იყო „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა“ („ბისეკი“), რომელსაც ისედაც ჰქონდა პრობლემები წევრი ქვეყნების განსხვავებული ინტერესების გამო (Manoli 2006). გარდა ამისა, ამ ომმა შედარებით ახალი ფორმატების სიმყიფე გამოავლინა. ასეთი იყო „შავი ზღვის სინერჯის“ ინიციატივა, რომელზეც ისიც მოქმედებდა, რომ ევროკავშირს არ ჰქონდა მყარი ვალდებულება, ეს სინერჯია რეგიონული უსაფრთხოების გასაძლიერებლად მიემართა. და ბოლოს, ომმა ასევე სასიკვდილო დარტყმა მიაყენა ახლადნამოყენებულ ინიციატივებს, როგორც იყო, მაგალითად, თურქეთის წინადადება სამხრეთ კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის შექმნის შესახებ, რომელიც რეგიონში მშვიდობის, თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად (Oskanian 2011) და ასახავდა კავკასიაში თურქეთის უფრო პროაქტიულ პოლიტიკას მის „მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების“ სტრატეგიის კონტექსტში (Fotiou 2009).

რუსეთის ინტეგრაციის პროექტებმა რეგიონი კიდევ უფრო დაანაწევრა. ევრაზიის საბაჟო კავშირი, რომელიც 2010 წელს ამოქმედდა და 2015 წელს ევრაზიის ეკონომიკურ კავშირად გარდაიქმნა, აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის მზარდი გავლენის საპირწონედ შეიქმნა. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამასთან შედარებით უფრო მჭიდრო ინტეგრაციის შეთავაზებით, მოსკოვმა თავისი ორივე რეგიონული პროექტი უკონკურენტოდ აქცია. ასევე, რუსეთმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს ევრაზიის საბაჟო კავშირის/ევრაზიის ეკონომიკურ კავშირის სრული წევრობისკენ უბიძგა, როგორც ეს სომხეთის მაგალითმა აჩვენა, რომელმაც, ამავე დროს, უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე. გარდა ამისა, იმ სამი პოსტსაბჭოთა ქვეყნის (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) წინააღმდეგ, რომელიც რუსეთმა ვერ „დაარწმუნა“, ევრაზიის ინტეგრაციის პროცესს მიერთებოდნენ და რომლებმაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმეს, კრემლმა სადამსჯელო ზომების ფართო არსენალი გამოიყენა.

2014 წელს რუსეთის ქმედებები (ყირიმის ანექსია და ომი დონბასში) გარდამტეხი მნიშვნელობის იყო შავი ზღვის ფართო აუზისთვის. პირველ რიგში, ამ ქმედებებმა წერტილი დაუსვა რეგიონული თანამშრომლობის ყველაწარმოებულ იმედს, რაც საზღვაო თანამშრომლობის გაძლიერების მექანიზმის - „შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ოპერატიული მოქმედების ჯგუფის“ („ბლექსიფორი“) პარალიზების მაგალითმაც აჩვენა, რომელიც ექვსივე შავიზღვისპირა სახელმწიფოს მოიცავდა და რომელში მონაწილეობაც რუსეთმა 2015 წელს შეწყვიტა. მეორე, რუსეთის ქმედებებმა დააჩქარა რეგიონის მილიტარიზაცია და NATO-სა და დასავლეთთან ამ უკანასკნელის კონფრონტაცია დაძაბულობის უპრეცედენტო დონეზე აიყვანა. მას შემდეგ, რაც ყირიმი შავი ზღვის რეგიონში რუსეთის სამხედრო ძალის ცენტრად იქცა, უკრაინამ სამხედრო ხარჯები გაზარდა (Melvin 2018, 18), ხოლო NATO-მ რეგიონში მისი წარმომადგენლობა გააფართოვა (მათ შორის „დაპტირებული დაწინაურებული წარმომადგენლობის“ გზით) და ასევე, გააძლიერა თანამშრომლობა უკრაინასა და საქართველოსთან. ევროკავშირისთვის რუსეთის ქმედებები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს „ევროპული უსაფრთხოების წესრიგის არსს“ (EEAS 2016, 33). რუსეთთან მისი ურთიერთობების „სტრატეგიულ გამოწვევად“ გარდაქმნის გარდა (EEAS 2016, 33), ამ ქმედებებმა ასევე ძირი გამოუთხარა ევროკავშირის „შავი ზღვის სინერჯის“ ინიციატივას, რომელიც ინკლუზიურ მიდგომას ეფუძნებოდა და რომლის შენარჩუნებაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და დონბასში ომის გაჩაღების შემდეგ შეუძლებელი გახდა.

თუმცა, ყოველივე ამას შავ ზღვის რეგიონში ევროკავშირის ჩართულობის ფუნდამენტური გადასინჯვა არ გამოუწვევია. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი თავის ინიციატივებზე გეოპოლიტიკური კონტექსტის გავლენას ათვისებობიერებდა (European Commission/High Representative 2015), მან „შავი ზღვის სინერჯია“ მაინც უმნიშვნელო სტრატეგიის სახით შეინარჩუნა. ამისგან განსხვავებით, რუსეთის ქმედებებზე რეაგირება ევროკავშირმა ორმხრივი პოლიტიკის ფარგლებში მოახდინა, კერძოდ, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დაანესა და უკრაინასა და „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ სხვა ქვეყნებთან კავშირები გააძლიერა. „შავი ზღვის სინერჯის“ ნაკლები მნიშვნელობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პრიორიტეტულობით არის განპირობებული, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობს, რასაც „შავი ზღვის სინერჯია“ უკანა პლანზე გადაჰყავს. პრინციპში, „აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის“ პრიორიტეტის მინიჭება მხოლოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ევროკავშირს არ აქვს მკაფიო პოლიტიკური ხედვა შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით.

## **რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ: შავი ზღვის ფართო რეგიონი - დაქაბულობის კერა ევროკავშირისთვის**

2022 წელს რუსეთის უკრაინაში სრულმასშტაბიანმა შეჭრამ ევროკავშირის უსაფრთხოების დღის წესრიგში წინ წამოსწია შავი ზღვის ფართო რეგიონის საკითხი ორი მთავარი მიზეზის გამო. პირველ რიგში, უკრაინაში შეჭრა ამ რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტებისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევების, ასევე, სამხედრო ძალის მობილიზების იმ სპირალის ახალი ეტაპია, რომელიც 2008 წელს საქართველოში რუსეთის შეიარაღებული შეჭრით დაიწყო და 2014 წელს ყირიმის ანექსიითა და აღმოსავლეთ უკრაინაში ომით გაგრძელდა. გარდა ამისა, ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დაუფარავად გამოააშკარავა შავი ზღვის ფართო რეგიონში არსებული უსაფრთხოების გამოწვევების მრავალნაწილობრივი ხასიათი. შეიარაღებული ომები და მილიტარიზაცია იმ საფრთხეების უფრო ფართო სპექტრის მხოლოდ რამდენიმე წახნაგს წარმოადგენს, რომლებიც ვაჭრობაზე, ენერჯორესურსებით მომარაგებასა და კომუნიკაციაზე ახდენენ გავლენას.

უკრაინაში მიმდინარე ომის კონტექსტში, ევროკავშირი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევები კომპლექსური ხასიათისაა და სხვადასხვა დონეზე მოქმედებს, თუმცა ამავდროულად მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული. ჯერ ერთი, საომარი მოქმედებები, შესაძლოა, მეტისმეტად გამწვავდეს და რეგიონს გასცდეს. მეორე, რუსეთის აგრესია დესტაბილიზაციის სერიოზულ რისკებს შეიცავს შავი ზღვის რეგიონის შედარებით პატარა ქვეყნებისთვის, რომლებიც რთულ სიტუაციაში არიან, რადგან ისინი, გარდა იმისა, რომ სუსტები არიან, რუსეთთან სხვადასხვა ხარისხით, თუმცა მჭიდროდ არიან დაკავშირებულები. და ბოლოს, რუსეთის ომი უკრაინაში დიდ, თუნდაც ირიბ, გავლენას ახდენს ზოგიერთ სხვა კონფლიქტზე შავი ზღვის რეგიონში. ამრიგად, რუსეთის ომის ექვს უკრაინის საზღვრებიდან საკმაოდ შორს ისმის და ამ ომს გრძელვადიანი შედეგები აქვს შავი ზღვის ფართო რეგიონისთვის.

### **უკრაინაში რუსეთის მიერ წახმოებული ომის შესაძლო გავლენა შავი ზღვის რეგიონზე**

რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ შავი ზღვის რეგიონში კიდევ უფრო მეტი დესტაბილიზაცია გამოიწვია, რადგან კრემლის სტრატეგიაში შავმა ზღვამ ცენტრალური ადგილი დაიკავა. დაძაბულობამ იმატა მას შემდეგ, რაც რუსეთმა დატოვა მარცვლეულის შეთანხმება (რომელიც გაერო-სა და თურქეთის შუამავლობით იქნა მიღწეული 33 მილიონი მეტრული ტონა უკრაინული ხორბლის ექსპორტირებაზე, რასაც 2022 წლის ივლისი-2023 წლის ივლისის პერიოდში სურსათზე გაზრდილი მსოფლიო ფასები უნდა შეემცირობინა). აღნიშნული მზარდი დაძაბულობა 2023 წლის ზაფხულში ოდესის და ჩერნომორსკის პორტებზე რუსული საჰაერო დარტყმებისა და ყირიმში შავი ზღვის ფლოტზე უკრაინული დრონებით შეტევების სახით გამოვლინდა. უსაფრთხოების სიტუაცია შავი ზღვის რეგიონში, შესაძლოა, კიდევ უფრო გამწვავდეს რუსეთის მიერ საერთაშორისო წყლებში მცურავი გემების ბოლოდროინდელი დაკავების, ანდა მათი დაკავების მუქარის შედეგად, რომლებსაც რუსეთი უკრაინისთვის „სამხედრო ტვირთის პოტენციურ გადამტანებად“ მიიჩნევს (Gavin 2023).

რუსეთის ქმედებებმა ვითარება NATO-სთანაც დაძაბა, რომელმაც დაგმო მოსკოვის გადაწყვეტილება მარცვლეულის შეთანხმების დატოვების, უკრაინის ექსპორტის დაბლოკვისა და თავისუფალი ნაოსნობის შეფერხებასთან დაკავშირებით (NATO 2023b). NATO-ს წევრ ქვეყნებსა (ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი) და რუსეთს შორის ტერიტორიული სიახლოვის გათვალისწინებით, ნებისმიერმა სამხედრო ინციდენტმა, იქნება ეს საერთაშორისო თუ ლოკალური, შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს რეგიონზე და შავი ზღვა უფრო ფართო კონფრონტაციის თეატრად აქციოს. დაძაბულობის ნებისმიერ ესკალაციას სერიოზული შედეგები ექნება ევროკავშირისთვისაც, რადგან ის გავლენას იქონიებს როგორც გაერთიანების, ასევე მისი რამდენიმე კანდიდატი ქვეყნის, მათ შორის, და არა მარტო, უკრაინის უსაფრთხოებაზე.

### **„აღმოსავლეთ პახნიოხოების“ ქვეყნების ღესგაბიღიზაცია**

უკრაინაში მიმდინარე ომი ძალიან დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორებზე, განსაკუთრებით კი ორ ასოცირებულ ქვეყანაზე - მოლდოვასა, რომელმაც 2022 წლის ივნისში კანდიდატის სტატუსი მიიღო, და საქართველოზე, რომელიც ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი ქვეყანაა. ამის მიზეზი ის არის, რომ აღნიშნული ქვეყნები პოლარიზებულია და ასევე, დაუცველია რუსეთის ზეგავლენის სტრატეგიების წინაშე. უკრაინაში მიმდინარე ომმა გამოააშკარავა საქართველოში არსებული განხეთქილება საქართველოს საზოგადოებაში უკრაინის ურყევ მხარდაჭერასა და ხელისუფლების უარს შორის, დაიცვას რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები, დემოკრატიის კურსიდან გადახვევისა და მოსკოვთან კავშირების აღდგენის კონტექსტში. მეზობელ უკრაინაში მიმდინარე ომის ჰუმანიტარულ შედეგებთან გამკლავების გარდა, მოლდოვა ორი პრობლემის წინაშე დგას: შიდა პოლარიზაციის ზრდის რისკი (საზოგადოებრივი აზრი დიდი ხანია გაყოფილია ქვეყნის საგარეო ორიენტაციის საკითხზე) და დნესტრისპირეთში კონფლიქტის განახლების საფრთხე (Parmentier 2022). ამ უკანასკნელის ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხრეთ უკრაინაში საომარი მოქმედებების მიმდინარეობასთან, როგორც ეს მკაფიოდ განმარტა რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ (Reuters 2022).

რუსეთის აგრესიამ ევროპასთან ასოცირებულ ქვეყნებს (პირველ რიგში, უკრაინას) ევროკავშირში გაწევრების განაცხადის შეტანისკენ უბიძგა და ამით, როგორც ჩანს, გაამყარა მათი გადაწყვეტილება, შეუერთდნენ ევროკავშირს. თუმცა, სულ უფრო გართულებულ და არასტაბილურ გარემოში, უკრაინაში მიმდინარე ომი სერიოზულ ზეგავლენას ახდენს საქართველოსა და მოლდოვის საშინაო პოლიტიკაზე. ასევე, ის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორებს საგარეო პოლიტიკის შეცვლისკენ უბიძგებს, ხშირად დასავლურ ორგანიზაციებსა და რუსეთს შორის რისკიანი ლავირების სასარგებლოდ, როგორც ამას საქართველოს შემთხვევაში ვხედავთ (Avdaliani 2023). ორივე ქვეყნის შემთხვევაში, ევროკავშირში ინტეგრაცია უადრესად მონყვლადია შიდა და რეგიონული ცვლილებების მიმართ და პროცესი, შესაძლოა, ახალი პოლიტიკური უმრავლესობის, ანდა კონფლიქტების განახლების გამო ჩაიშალოს.

## ჰეგიონული კონფლიქტების განახლება და გამწვავება

მართალია, რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ სერიოზულ რისკებს შეიცავს უკრაინის საზღვრებთან ახლოს არსებული კონფლიქტებისთვის, როგორცაა დნესტრისპირეთის კონფლიქტი, თუმცა ის ამავდროულად შავი ზღვის ფართო რეგიონის სხვა კონფლიქტებზეც ახდენს გავლენას. ამის საუკეთესო მაგალითია სიტუაციის მკვეთრი გაუარესება მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2020 წელს გამწვავებულმა კონფლიქტმა დრამატულად შეცვალა გეოპოლიტიკური ლანდშაფტი სამხრეთ კავკასიაში. 44-დღიანმა ომმა დაუფარავად გამოააშკარავა ევროკავშირის უსუსურობა, რამდენადაც ის კონფლიქტის დროს უჩინარი იყო. ამის სამი მიზეზი არსებობს. პირველი, ევროკავშირი იმ დრომდე არ იყო ჩართული მთიანი ყარაბაღის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებებში, რადგან ის (როგორც ორგანიზაცია) არ მონაწილეობდა ეუთო-ს მინსკის ჯგუფში. მეორე, მისი მთავარი პოლიტიკა რეგიონში, იქნებოდა ეს „ევროპის სამეზობლო პოლიტიკა“ თუ „აღმოსავლეთ პარტნიორობა,“ არ მოიცავდა უსაფრთხოების კომპონენტს და უშუალოდ კონფლიქტის მოგვარებას არ ეხებოდა. მესამე, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, დნესტრისპირეთის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა, თუ უკრაინის კონფლიქტებისგან განსხვავებით, ეწინააღმდეგება „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ ორ პარტნიორ ქვეყანას, რაც ევროკავშირის თავშეკავებულობას კიდევ უფრო ამყარებდა. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საომარი მოქმედებები შეწყდა და ადგილზე რუსული ჯარი მშვიდობისმყოფელთა მანდატით განთავსდა, 2020 წლის 9 ნოემბერს რუსეთის მონაწილეობით მიღწეულმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამ კონფლიქტის მდგრადი გადაწყვეტა ვერ უზრუნველყო, რადგან ის არ მოიცავდა მთიანი ყარაბაღის სტატუსის საკითხს, რაც ორივე მხარისთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა. რუსეთის ყურადღებისა და რესურსების სხვაგან გადატანამ, ანუ რუსეთის აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ, სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაში სახიფათო ვაკუუმი შექმნა. ვინაიდან უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, რუსეთს აღარ შეეძლო ან აღარ სურდა რეგიონში მშვიდობის სავარაუდო გარანტორი ყოფილიყო, გათამამებულმა აზერბაიჯანმა მთიან ყარაბაღში ახალი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა და ლაჩინის დერეფანი, რომელიც მთიან ყარაბაღს სომხეთთან აკავშირებს, 9 თვეზე მეტი ხნით ჩაკეტა (რასაც უმძიმესი ჰუმანიტარული შედეგები მოჰყვა ყარაბაღში მცხოვრები 120,000 ეთნიკური სომხისთვის). 2023 წლის სექტემბერში, აზერბაიჯანმა ახალი შეტევა წამოიწყო და ანკლავის დანარჩენი ნაწილი დაიკავა, რამაც იქიდან სომხური მოსახლეობის იძულებითი გამოსვლა გამოიწვია. უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, აზერბაიჯანი სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას როგორც რიტორიკულად, ასევე რამდენჯერმე სომხეთის საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე შეჭრით, რაც მსხვერპლით და რამდენიმე ათასი ადამიანის დევნილობით დასრულდა.

აზერბაიჯანის ქმედებები, რომლებსაც უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე რუსეთის უმოქმედობაც უწყობს ხელს, სერიოზული რისკების, მათ შორის ახალი სამხედრო ესკალაციის საფრთხის შემცველია. აღნიშნული ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენს, რადგან სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტი უშუალოდ ზემოქმედებს ევროკავშირის პოლიტიკაზე - იქნება ეს „აღმოსავლეთ პარტნიორობა,“ ენერგორესურსები თუ კომუნიკაციები. აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის ძალისმიერი დაპყრობა დიდი დარტყმა იყო ევროკავშირისთვის, რადგან მან ამ ორგანიზაციის საგარეო პოლიტიკის შეზღუდვები გამოავლინა. 2021 წლის მიწურულიდან, ევროკავშირმა საგრძნობლად გაააქტიურა მისი ჩართულობა ამ კონფლიქტის მოგვარებაში, მათ შორის სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მედიატორის ფუნქციის შესრულებითა და სომხეთში მონიტორინგის ახალი მისიის ამოქმედების გზით. ევროკავშირის გაზრდილი მონაწილეობის მიუხედავად, აზერბაიჯანის შეტევას მხოლოდ უმნიშვნელო რეაგირება მოჰყვა ამ ორგანიზაციის მხრიდან. ნევრი ქვეყნების განსხვავებული მოსაზრებების გამო, ევროკავშირს არ დაუწესებია აზერბაიჯანისთვის რაიმე სანქცია და მხოლოდ ძალის გამოყენების დაგმობითა და სომხეთის ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხის შექმნის წინააღმდეგ გაფრთხილებით შემოიფარგლა.

## **საფიქსი კომუნიკაციებისა და ენეჯიგოხესუსებით მომარაგებისთვის**

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება მხოლოდ თავდაცვისა და სამხედრო საკითხებით არ შემოიფარგლება, არამედ ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და ეკოლოგიურ ასპექტებსაც მოიცავს. შავი ზღვის ფართო რეგიონს ევროკავშირი დიდი ხანია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინად განიხილავს ცენტრალურ აზიასთან და შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო და სატრანსპორტო კავშირების და, ასევე, კასპიის ზღვის აუზიდან ენერგომომარაგების მიმართულებით.

მიუხედავად ამისა, შავი ზღვის საკომუნიკაციო პოტენციური გამოუყენებელი რჩება. ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიცაა, რომ საკომუნიკაციო პროექტები განსხვავებულ შეხედულებებს ასახავს (Smolnik 2023) და არსებულ კონფლიქტებს კვებავს. 2020 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ, თითქოს, სამხრეთ კავკასიის გავლით ახალი დერეფნებისა და სატრანსპორტო მარშრუტების (მაგალითად, ერასხი-ჯულფა-ორდუბადი-მელრი-ჰორადიზის სარკინიგზო ხაზი) პერსპექტივა გამოჩნდა; თუმცა, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული დაძაბულობის გათვალისწინებით, ეს ინიციატივები ჯერ კიდევ განსახორციელებელია. გარდა ამისა, უკრაინის ომმა ზოგიერთი მარშრუტი, განსაკუთრებით საზღვაო მარშრუტები, შეაფერხა რუსეთის მხრიდან უკრაინის ექსპორტის ბლოკირების გამო. მან, ამავე დროს, დამატებით დერეფნებზე მოთხოვნა გაზარდა. უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ქმედებებმა ევროკავშირისთვის ალტერნატიული ენერგომომარაგების და რუსეთის გვერდის ავლით ახალი მარშრუტების საჭიროება კიდევ უფრო გაამწვავა. შავი ზღვის რეგიონი ორივე თვალსაზრისით სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ბოლო რამდენიმე ათწლეულია, ევროკავშირისთვის შავი ზღვის რეგიონის სტრატეგიული აქტუალობა იზრდება, რადგან ევროკავშირი, თავისი გაფართოების გზით, შავ ზღვასაც მიუახლოვდა და სხვა ზღვისპირა ქვეყნებთანაც გააღრმავა ურთიერთობები. თუმცა 2000-იანი წლების ბოლოდან, რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა ეს რეგიონი არა მარტო კონფრონტაციის სივრცედ აქცია, არამედ უამრავი საფრთხე წარმოქმნა, რომლებიც, შეიძლება, ევროკავშირსაც მისწვდეს. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრით, აღნიშნულმა გამოწვევებმა ევროკავშირისთვის აქტუალობა შეიძინა და რეგიონული პოლიტიკის ძირეული გადასინჯვა მოითხოვა.

2000-იანი წლების შუა პერიოდიდან, ევროკავშირის ქმედება შავი ზღვის რეგიონში ორმხრივი მექანიზმების კომბინაციით იყო წარმოდგენილი, რომლებიც ევროკავშირთან მიმართებით პარტნიორი ქვეყნების განსხვავებულ მისწრაფებებს ასახავდა და რომელიც შემდგომ ევროკავშირის სხვა პოლიტიკებით ნაკარნახევი (პირველ რიგში, „ჩრდილოეთის განზომილებით“) რეგიონული ინიციატივის სახით გაერთიანდა („შავი ზღვის სინერჯია“). თუმცა ეს სქემა ვერ იქცა ევროკავშირის ყოვლისმომცველ სტრატეგიად ამ რეგიონში, რაც ორი მიზეზით აიხსნება. პირველი, ის თავიდანვე ჩაფიქრებული იყო როგორც ინკლუზიური ინიციატივა, რომელიც შავი ზღვის ფართო რეგიონის ყველა ქვეყანას აერთიანებდა და ამიტომ, მასზე ცვალებადი გეოპოლიტიკური კონტექსტი დიდ გავლენას ახდენდა. მეორე, მან ვერ მოიპოვა სერიოზული პოლიტიკური მხარდაჭერა ევროკავშირის აქტორებს შორის, რომლებმაც ვერც ალტერნატიული მექანიზმების შეთავაზება ვერ მოახერხეს. შედეგად, ის პრაქტიკულ სტრუქტურად გადაიქცა, რომელიც „ქვემოდან ზევით“ მიდგომასა და კონკრეტული სექტორების მხარდაჭერას (European Commission/High Representative 2019) ემყარებოდა, რაც რელევანტური მიდგომა იყო, მაგრამ ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა რეგიონში არსებულ სერიოზულ გამოწვევებთან მიმართებაში. ამავე დროს, შავ ზღვასთან დაკავშირებული ევროკავშირის პოლიტიკის მექანიზმები, რომლებიც ევროკავშირის ინიციატივის მთავარ საყრდენებად რჩებიან, სულ უფრო მეტად შორდებიან ერთმანეთს როგორც რეგიონული, ისე ადგილობრივი ცვლილებების გამო. 2000-იანი წლების შუა ხანებისგან განსხვავებით, ევროკავშირის ურთიერთობები შავი ზღვის რეგიონულ ძალებთან - რუსეთსა და თურქეთთან, ან გაყინულია, ან დაძაბული. ამის საპირისპიროდ, გააქტიურდა ურთიერთობები „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ წევრ ქვეყნებთან, რომელთაგან სამი მათგანი ასოცირებულია ევროკავშირთან და ევროკავშირში განვრცობის აპლიკანტია. რეგიონში ევროკავშირის პოლიტიკებს შორის არსებული მზარდი განსხვავება სავარაუდოდ შენარჩუნდება და უფრო გაღრმავდება კიდევ, განსაკუთრებით უკრაინის და მოლდოვის კანდიდატ ქვეყნებად (ასევე, საქართველოს როგორც პოტენციური კანდიდატი ქვეყნის) ცნობის და მათი ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაში თანდათანობითი ჩართვის შემდეგ.

ამ ვითარებაში, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირმა შავი ზღვის რეგიონის გარშემო გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა შეიმუშავოს, რომელიც მას აქამდე არ ჰქონია. ასეთი ხედვა ყოვლისმომცველი უნდა იყოს, რადგან ამ რეგიონში ყველა დონე (ადამიანური, ინტრა-თუ პარა-სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი, ტრანსნაციონალური, რეგიონული, გლობალური) და უსაფრთხოების ყველა კომპონენტი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

## ჰეკომენდაციები ევროკავშირის მიმართ

ევროკავშირმა, ფაქტო პირობებზე დაყრდნობით, ხომედშიც რაჩთული იქნება ევროკავშირის ყველა ინსტიტუტი (მათ შორის ევროპარლამენტი), ასევე, ჰეგიონური დაინტეგრირებული მხარეები, შეიმუშავოს სტრატეგიული ხედვა შავი ზღვის ჰეგიონისთვის, ხომედშიც გათვადისწინებული იქნება უსაფრთხოების რისკები (მიმდინარე კონფლიქტები და მათი შედეგები), პოლიტიკური ცვლილებები (მათ შორის, დემოკრატიის უკუსვლა) და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები;

გამოიყენოს ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობა შავი ზღვის ჰეგიონის ქვეყნებს შორის დიპლომატიის გასაძლიერებლად და გააანალიზოს შავი ზღვის ფაქტო ჰეგიონის წინაშე ახლებული გამოწვევები;

იმოქმედოს, ხოგოც ჰეფოხმების საიმედო დასაყრდენმა „აღმოსავლეთ პაჩნროხოობის“ იმ ქვეყნებისთვის, ხომედშიც პოლიტიკური ტრანსფორმაციის პირობებს გადიან და ევროკავშირთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებით ახიან დაინტეგრირებული, მათ შორის, მათთვის უახლოეს მომავალში წევრობის დამატებითი პეხსპექტივის შეთავაზებით. ეს მოითხოვს ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკის ადაპტირებას ახლებულ კონტექსტთან, ინტეგრაციულ თანდათანობით გადასვლის გზით (Mihajlović et al. 2023).

## ჰეკომენდაციები უმაღლესი წახმომადგენლისა და წევრი სახელმწიფოების მიმართ

გაიზახროს წევრი სახელმწიფოების ყუხადლება შავი ზღვის ჰეგიონის მიმართ, ხადგან მხოლოდ ხამდენიმე მათგანმა მიალწია ევროკავშირის მასშტაბით ამ პოლიტიკის სხუდფასოვან განხორციელებას (მაგადითად, საბეჩდნეთი, ჰუმინეთი და ბუდგაჩეთი „შავი ზღვის სინეჩიის“ შემთხვევაში), ანდა შავი ზღვისკენ მიმართული სხვა ინიციატივების ჰეადიზებას (მაგადითად, პოლონეთის „სამი ზღვის“ ინიციატივები). შავი ზღვის ფაქტო ჰეგიონში ევროკავშირის მდღავი მონაწილეობა მნიშვნელოვნად ახის დამოკიდებული წევრი ქვეყნების უმეტესობის ძლიეხ და მდგად რაჩთულობაზე;

გააქტიუხდეს ევროკავშირის მონაწილეობა საშუამავლო მოდაპაჩაკებებში, იქნება ეს საეჩთაშოხისო (მაგადითად, ჟენევის საეჩთაშოხისო დისკუსიები საქაჩთვეროს შემთხვევაში), თუ ევროკავშირის მიეხ ინიციატივები მოდაპაჩაკებები (მაგადითად, ხოგოც სომხეთისა და აზეჩბაიჯანის შემთხვევაში 2021 წლიდან). უკაინაში მიმდინარე ომი უაჩყოფით გავდენას ახდენს სხვა ჰეგიონურ კონფლიქტებზე. წინსვლა კონფლიქტების მოგვაჩების მიმაჩთულებით აუცილებელია მათი უსკადაციის რისკების შესამციხებლად (მაგადითად, სომხეთსა და აზეჩბაიჯანს შორის), ასევე, ევროკავშირში უკაინისა და მოდოვის და, პოტენციუხად, საქაჩთვეროს გაწევრების გათვადისწინებით, ხაც სასაზღვრო დავების მოგვაჩებას მოითხოვს;

გაძლიეხდეს მისიები, ხათა მოხდეს ადგილზე მოვდენათა განვითაჩებაზე ყუხადლებით დაკვირება და თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტის განახლება თუ მისი შედეგები. ამ თვადსაზხისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის მისია სომხეთში (EUMA), თუ გავითვადისწინებთ ამ ქვეყნის ტეჩიგოჩიული მთლიანობისთვის ახლებულ საფრთხეს;



გაფაჩთვდეს „აღმოსავლეთ პაჩტნიოხოობის“ უსაფხოხოობის განზომილება უსაფხოხოობის სფეხოში თანამშხომდობის გაძღიეების (Meister et al. 2023) და იმ ქვეყნებისთვის მიზნობივი დახმების გაწევის გზით, ხომეღთა უსაფხოხოობებზეც მიმდინახე ომი განსაკუთხებით მოქმედებს, ხათა გაძღიეებს უსაფხოხოობის სექტოი კიზისის მახთვისა და ჰიბიღუდ საფხოხეებთან გამკლავების კომპონენტებში. ასეთია, მაგადითად, მოდღოვა, სადაც ევხოკავშირმა პაჩტნიოხოობის მისია (EUPM) განათავსა.

### **ეკომენტაციები ევხოკომისიის/ ევხოპის საგაეო ქმედებათა სამსახუის (EEAS) მიმახო**

შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ხომეღიც პასუხისმგებელი იქნება ახალი ეეგონური ინსტრუმენტების შემუშავებაზე შავი ზღვის ეეგონისთვის, ხათა მოგვახდეს პოღიტიკუი, სოციაღუ-ეკონომიკუი, ეკოღოგიუი და უსაფხოხოობის გამწვევები ევხოკავშირის ახალი ხედვის შესაბამისად. ეს ინსტრუმენტები ოიენტიეებუღი უნდა იყოს შავი ზღვის ფახოთ ეეგონის ყვეღა მსუხვედ ქვეყანაზე, გახღა ხუსეთისა;

გაიზახღოს ინფხასტრუქტუიური ინვესტიციები ისეთ პხოექტებში, ხოგოიღაა წყადქვეშა ინტეინეტ-კაბელი, ხომეღიც ევხოკავშირის წევი ქვეყნებს სამხეთ კავკასიასთან აკავშირებს, ეეგონის მიწისზეღა, ხუსეთზე გამავად ოპტიკუი-ბოქკოვან კავშირზე დამოკიღებუღების შემციების მიზნით. ეს განსაკუთხებუღად საჭიოა იმიგომ, ხომ აღნიშნუღი კავშირი საკვანდო მნიშვნეღობისაა სავაჭო და ენეეგოეესუსების ნაკაღებისთვის და ასევე, ხაღხებს შოხის კონტაქტისთვის. გახღა ამისა, ყოვეღივე ეს თანამშხომდობის ასპექტსაც მოიცავს, ხაღვან მიიჩნევა, ხომ ასეთი პხოექტები ეეგონურ თანამშხომდობას უწყობს ხეღს და, შესაბამისად, წვღიღი შეაქვს დაბაბუღობის შემციებაში (Smolnik 2023).

## ბიბლიოგრაფია

- Avdaliani, Emil. 2023. "Playing with Fire: Georgia's Cautious Rapprochement with Russia". Carnegie politika, 21 July. ხელმისაწვდომია: <https://carnegieendowment.org/politika/90246>. ბოლოჯერ ნანახია: 22 აგვისტო, 2023;
- Aydin, Mustafa. 2006. "Europe's Next Shore: The Black Sea Region after EU Enlargement". Chaillot Occasional Paper, No. 53, Paris: EU Institute for Security Studies. ხელმისაწვდომია: <https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/occ53.pdf>. ბოლოჯერ ნანახია: 8 ივნისი, 2023;
- European Commission. 2007. Black Sea Synergy, a new regional cooperation initiative, Communication to the Council and the Parliament, COM (2007) 160 final, 11 April;
- European Commission/High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. 2015. Black Sea Synergy. Review of a regional cooperation initiative. Joint Staff Working Document SWD (2015) 6 final, 20 January;
- European Commission/High Representative of the European Union for Foreign Affairs and Security Policy. 2019. Black Sea Synergy. Review of a regional cooperation initiative (2015-2018). Joint Staff Working Document SWD (2019) 100 final, 5 March;
- European External Action Service. 2016. Shared Vision, Common Action: A Stronger Europe A Global Strategy for the European Union's Foreign and Security Policy. Brussels. ხელმისაწვდომია: [https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/eugs\\_review\\_web\\_0.pdf](https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/eugs_review_web_0.pdf). ბოლოჯერ ნანახია:14 ივნისი 2023;
- Fotiou, Eleni. 2009. "Caucasus Stability and Cooperation Platform": What is at Stake for Regional Cooperation?". ICBSS Policy Brief, No. 16. ხელმისაწვდომია: [https://www.files.ethz.ch/isn/104737/PB\\_16.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/104737/PB_16.pdf). ბოლოჯერ ნანახია: 11 ოქტომბერი, 2023;
- Gavin, Gabriel. 2023. "Russia risks war with NATO in Black Sea, former top commander in Europe warns". Politico, 16 August. ხელმისაწვდომია: <https://www.politico.eu/article/russia-ukraine-nato-war-risk-black-sea/>. ბოლოჯერ ნანახია:23 აგვისტო 2023;
- Kuimova, Alexandra and Wezeman, Siemon. 2018. Russia and Black Sea Security. SIPRI Background paper, Stockholm: SIPRI. ხელმისაწვდომია: <https://www.sipri.org/publications/2018/sipri-background-papers/russia-and-black-sea-security>. ბოლოჯერ ნანახია: 13 ივნისი 2023;
- Manoli, Panagiota. 2006. "Reflecting on the BSEC: Achievements, Limitations and the Way Forward". ICBSS Policy Brief, No. 1. ხელმისაწვდომია: [https://www.files.ethz.ch/isn/104173/PB\\_01.pdf](https://www.files.ethz.ch/isn/104173/PB_01.pdf). ბოლოჯერ ნანახია: 9 ოქტომბერი 2023;
- Meister, Stefan, Nič, Milan, Kirova, Iskra and Steven Blockmans. "Russia's war in Ukraine: Rethinking the EU's Eastern Enlargement and Neighbourhood Policies". [https://dgap.org/system/files/article\\_pdfs/dgap-report-2023-01-EN-Rethinking%20EUs%20Eastern%20Enlargement\\_0.pdf](https://dgap.org/system/files/article_pdfs/dgap-report-2023-01-EN-Rethinking%20EUs%20Eastern%20Enlargement_0.pdf). ბოლოჯერ ნანახია: 15 ივნისი 2023;
- Melvin, Neil. 2018. Rebuilding collective security in the Black Sea region. SIPRI Policy paper, Stockholm: SIPRI. ხელმისაწვდომია: <https://www.sipri.org/publications/2018/sipri-policy-papers/rebuilding-collective-security-black-sea-region>. ბოლოჯერ ნანახია:13 ივნისი 2023;

- Mihajlović, Milena, Blockmans, Steven, Subotić, Strahinja, and Michael Emerson. 2023. Template 2.0 for Accession to the EU. Brussels, CEPS. ხელმისაწვდომია: [https://www.ceps.eu/ceps-publications/template-2-0-for-staged-accession-to-the-eu/?mc\\_cid=07bdc70520&mc\\_eid=596d5e7b57](https://www.ceps.eu/ceps-publications/template-2-0-for-staged-accession-to-the-eu/?mc_cid=07bdc70520&mc_eid=596d5e7b57). ბოლოჯერ ნანახია:29 აგვისტო, 2023;
- NATO. 2023a. "Vilnius Summit Communiqué". 11 July. ხელმისაწვდომია: [https://www.nato.int/cps/en/natohq/official\\_texts\\_217320.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_217320.htm). ბოლოჯერ ნანახია:24 აგვისტო 2023;
- NATO. 2023b. "NATO- Ukraine Council addresses serious security situation in the Black Sea". 26 July. ხელმისაწვდომია: [https://www.nato.int/cps/en/natohq/news\\_217835.htm](https://www.nato.int/cps/en/natohq/news_217835.htm). ბოლოჯერ ნანახია:24 აგვისტო 2023;
- Oskanian, Kevork. 2011. Turkey's global strategy: Turkey and the Caucasus. IDEAS reports - special reports, Kitchen, Nicholas (ed.) SR007, London: LSE IDEAS, London School of Economics and Political Science. ხელმისაწვდომია: <http://eprints.lse.ac.uk/id/eprint/43497>. ბოლოჯერ ნანახია: 11 ოქტომბერი 2023;
- Parmentier, Florent. 2022. Moldova and the war. Caught between caution and the abyss. Policy brief, Paris: Institut Jacques Delors. ხელმისაწვდომია: <https://institutdelors.eu/en/publications/la-moldavie-face-a-la-guerre/>. ბოლოჯერ ნანახია: 20 ივლისი 2023;
- Petrov, Roman. 2022. "How the European Political Community Could Support the Accession of Ukraine to the EU". Verfassungsblog, 22 December. ხელმისაწვდომია: <https://verfassungsblog.de/how-the-european-political-community-could-support-the-accession-of-ukraine-to-the-eu/>. ბოლოჯერ ნანახია: 24 აგვისტო 2023;
- Reuters. 2022. Russia says it plans full control of Donbas and southern Ukraine; Moldova protests. ხელმისაწვდომია:<https://www.reuters.com/world/europe/russia-says-it-plans-full-control-donbas-southern-ukraine-ifax-2022-04-22/>. ბოლოჯერ ნანახია:26 ივლისი 2023;
- Smolnik, Franziska. 2023. Dis/Connectivity in the South Caucasus. Imaginaries, the Effects of Power, Ambivalences, SWP Research Papers. Berlin: SWP. ხელმისაწვდომია: <https://www.swp-berlin.org/en/publication/dis-connectivity-in-the-south-caucasus>. ბოლოჯერ ნანახია: 29 აგვისტო 2023;
- Tassinari, Fabrizio. 2006. "A Synergy for Black Sea Regional Cooperation: Guidelines for an EU Initiative". CEPS Policy Brief, No. 105, Brussels: CEPS. ხელმისაწვდომია: <https://www.ceps.eu/ceps-publications/synergy-black-sea-regional-cooperation-guidelines-eu-initiative/>. ბოლოჯერ ნანახია: 10 ივნისი 2023.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP)

---

📍 საქართველო, თბილისი 0107,  
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13

☎ +995 599 99 02 12

✉ info@gip.ge 🌐 [www.gip.ge](http://www.gip.ge)

